ჰიუნდაი ავტო საქართველოს ვებგვერდის დამზადების

ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტი: ვებგვერდის დამზადება და ტექნიკური მხარდაჭერა

- ვებგვერდი უნდა იყოს ორენოვანი : ქართული, ინგლისური

მომსახურების გაწევის ვადები

- ვებ-საიტი უნდა დამზადდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 70 კალენდარულ დღეში

მნიშვნელოვანი შინაარსობრივი ნაწილი

- ვებ-გვერდის ძირითადი ამოცანაა კომპანიის, კომპანიის პროდუქტებსა და სერვისებზე მაქსიმალურად ამომწურავი *ინფორმაციის კომფორტული გზით მიწოდება მომხმარებლისთვის.
- *ინფორმაცია მოიცავს
  1. ავტომობილების შესახებ დაწვრილებით ტექსტუალურ და ფოტო/ვიდეო მასალას. მათ შორის ტექნიკურ აღჭურვას, შესაძლებლობებს, სისტემების მიმოხილვას, ძირითად სპეც. მახასიათებლებს. ტესტ დრაივზე ონლაინ რეგისტრაციის შესაძლებლობას
  2. ავტომობილის სერვის შესახებ ტექსტუალურ და ფოტო/ვიდეო მასალას. სერვისზე რეგისტრაციისა და შეტყობინების გამოგზავნის შესაძლებლობას
  3. ძველი ავტომობილის ჩანაცვლების შესაძლებლობა. მომხმარებელი ვებ-გვერდის მეშვეობის ტვირთავს წინასწარ განსაზღვრულ ინფორმაცია მის საკუთრებაში მყოფი ავტომობილის შესახებ.
  4. ბრენდის გარშემო არსებული სიახლეების და/ან შეთავაზებების გაცნობა მომხმარებლისთვის როგორც ტექსტუალური ისე ფოტო/ ვიდეო მასალით

დიზაინი

ვებ გვერდის დიზაინი სრულად უნდა შეესაბამებოდეს ჰიუნდაის გლობალურ სტილს. მათ შორის ფერები, სიმბოლოები, კორპორატიური ფონტები (ქართ/ლათინური) და ა.შ. დაუშვებელია მზა შაბლონური დიზაინის გამოყენება.

კორპორატიული სტილისა და ტექნიკური შესაძლებლობების გასაანალიზებლად კანდიდატები უნდა გაეცნონ ჰიუნდაის ვებ-გვერდებს:

1. https://www.hyundai.com/worldwide/en (გლობალური ვებ-გვერდი)
2. https://horimexcars.hyundai.cz/
3. https://www.darwinhyundai.com.au/
4. https://www.hyundaiusa.com/us/en
5. https://www.hyundai.com/it/it.html
6. https://www.hyundai.com/kr/ko/e

დიზაინზე მუშაობის ეტაპები პერიოდულობით უნდა შეთანხმდეს დამკვეთთან:

- მთავარი გვერდისა და მინიმუმ 4 შიდა გვერდის ესკიზი დამკვეთს უნდა წარედგინოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 7 კალენდარულ დღეში;
- მიღებული უკუკავშირის შესაბამისად გადამუშავებული ესკიზების წარდგენა უნდა მოხდეს უკუკავშირიდან 3 კალენდარულ დღეში

ინტეგრაციები და სხვა მნიშვნელოვანი დეტალები

- ვებ-გვერდი ინტერგირებული უნდა იყოს CRM -თან. შესაბამისად, ვებ-გვერდზე მომხმარებლის მხრიდან განხორციელებული ქმედების შესახებ ინფორმაციის მიმოცვლა შეუფერხებლად და ავტომატურად უნდა ხდებოდეს CRM პლათფორმაში.
- ვებ საიტის URL მისამართები უნდა იყოს Search Engine Friendly
- ვებ გვერდი და მისი გვერდები ინტეგრირებული უნდა იყოს სოც. ქსელებთან და საჭიროებისამებრ უნდა არსებობდეს ინფორმაციის მიმოცვლის საშუალება შეუფერხებლად და ვიზუალური/ტექნიკური ხარვეზების გარეშე.
- ინტეგრაციების უზრნუნველყოფა, რომელიც სამომავლოდ გამოიყენება მონაცემების ანალიზისთვის. (google analytics, google tag manager, facebook pixel, linked in insight tag,

ზოგადი ტექნიკური მოთხოვნები ვებ-გვერდის მიმართ

- ვებგვერდი სრულფასოვნად უნდა ფუნქციონირებდეს ყველა არსებულ ბრაუზერსა და მოწყობილობაზე (განურჩევლად რეზოლუციისა) აკმაყოფილებდეს უახლეს გლობალურ სტანდარტებს და ვებ-გვერდის ვალიდაციის შემოწმებას გადიოდეს უ შ ეცდომოდ;
- საიტი მიმდინარე დროში არსებული კურსით უნდა აჩვენებდეს პროდუქტის ღირებულებას (ინფორმაციის წყარო უნდა იყოს ეროვნული ბანკი)
- ვებ-გვერდს არ უნდა გააჩნდეს შეზღუდვები, რომლებიც სამომავლო რედაქტირებას ან ფუნქციონალის გაზრდას შეუშლის ხელს
- საიტზე ძიების ფუნქცია
- საიტის ნებისმიერ გვერდზე უნდა არსებობდეს დოკუმენტებისა და ფოტო/ვიდეო მასალის მიბმის შესაძლებლობა
- საჭიროების შემთხვევაში ვებ გვერდზე შესაძლებელი უნდა იყოს მზა HTML გვერდების ჩამატება
- ქართულენოვანი ვერსია შექმნილი უნდა იყოს შრიფტების უნივერსალურ კოდირებაში (UTF-8)
- ვებგვერდი უნდა შეიქმნას PHP/MySQL პლატფორმაზე და იყენებდეს უახლეს ტექნოლოგიებს (HTML5, CSS3, JavaScript და ა.შ.);

სამართავი პანელი

- სამართავი პანელის დიზაინი და ნავიგაცია წინასწარ უნდა შეთანხმდეს დამკვეთთად და მიღებული უკუკავშირის შესაბამისად მიეცეს საბოლოო სახე
- ვებ საიტის და მართვის პანელის კოდი უნდა იყოს ხელმისაწვდომი რედაქტირებისთვის. სურვილის შემთხვევაში, სხვა უფლებამოსილ პირს უნდა შეეძლოს ვებ საიტის პროგრამულ ან ინტერფეისის მხარეს ნებისმიერი ცვლილების შეტანა და ის არ უნდა იყოს შეზღუდული დაშიფრული კოდით
- სამართავი პანელიდან ნებისმიერი ტიპის კონტენტის რედაქტირება/დამატება უნდა იყოს შესაძლებელი. მათ შორის ყოველი ახალი ავტომობილებისთვის დამოუკიდებელი გვერდის შექმნა/ შევსება, რომლიც შესაძლებელი იქნება დამკვეთის გუნდის შესაბამისმა წევრმა მოახდინოს საკუთარი ძალებით.
- ვებგვერდი და სამართავი პანელი უნდა იყოს აწყობილი php / mySQL ბაზაზე. დაშვებულია ინტერფეისის framework-ების გამოყენება.
-

საძიებო სისტემა

- ვებ-გვერდი ოპტიმიზირებული უნდა იყო ყველა ძირითადი საძიებო სისტემის მოთხოვნის შესაბამისად
- ვებ-გვერდის ყველა გვერდში უნდა იყოს სწორად გენერირებული „თეგები“

ვებ-გვერდზე გავრცელებული საავტორო უფლებები

- შემსრულებელი ვალდებულია შემსყიდველს სრულად და უვადოდ გადასცეს საავტორო უფლებები შექმნილ ვებ-გვერდზე. მათ შორის პროგრამული კოდი, მისი მოდიფიკაცია/ადაპტირება/რეპროდუცირების უფლება საჭიროებისამებრ გამოყენებისთვის.
- საავტორო უფლების ღირებულება არ ითვლება დამოუკიდებლად. მის ღირებულებას მოიცავს კანდიდატის მიწე ვებ-გვერდის დამზადებისთვის წარდგენილი საერთო ბიუჯეტი.

დასრულებული ვებ-გვერდის მხარდამჭერა

- ვებ-გვერდის ჩაშვების დღიდან 6-12 თვის ვადაში შემსრულებელი ვალდებულია მოახდინოს აღმოჩენილი ხარვეზების დროული და უსასყიდლო აღმოფხვრა.
- მომწოდებელი ვალდებულია დამკვეთის მიერ მიწოდებული ინფორმაციის შესაბამისად ვებ-გვერდის ყველა გვერდზე სრულად უზრუნველყოს კონტენტის შეტვირთვა ერთჯერადად. ყოველი სამომავლო ცვლილება/დამატება მოთხოვნისამებრ შეთანხმდება შემსრულებელსა და დამკვეთს შორის

მნიშვნელოვანი ინფორმაცია

- კანდიდატმა უნდა წარადგინოს 3 დოკუმენტი pdf ფორმატში. #1 პროექტის ჩაშლილი ღირებულება ეტაპებისა და შესასრულებელი დავალებების მიხედვით, რომელიც გაწერილია დროში. (excel file converted to pdf)
  #2 შინაარსობრივი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ტექსტუალურ აღწერას, როგორ წარმოუდგენია შემსრულებელს ვებ-გვერდის მზა ვერსია (მაგალითების წარმოდგენა შესაძლებელია ფოტოების და/ან ბმულების გამოყენებით) და როგორ აღასრულებს სამუშაო პროცესს.
  #3 პროექტზე მომუშავე გუნდის რეზიუმეები, სადაც ნათლად ჩანს კონკრეტული დავალების აღსრულებისთვის საჭირო უნარები და გამოცდილება.
- კანდიდატის მიერ წარმოდგენილ #2 შინაარსობრივ შეთავაზებაში შესაძლებელია იყოს რეკომენდაციები, ტექნიკური დავალების შესახებ. მათ შორის შეთავაზება უახლესი ტექნოლოგიური გადაწყვეტების შესახებ, რომელიც ვებ-გვერდს გახდის უფრო კომფორტულს მომხმარებლისთვის და უფრო ინფორმატიულს მონაცემების ანალიზის კუთხით დამკვეთისთვის.
- კანდიდატის მიერ წარმოდგენილმა შინაარსობრივმა დოკუმენტმა შესაძლოა გავლენა იქონიოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში სხვა ძირითად ფაქტორებთან ერთად.
- ძირითად ფაქტორებს შორის არის: პროექტის ღირებულება, შესრულების ვადა, კანდიდატის პორთფოლიო/ შესრულებული პროექტების მიმოხილვა,

პროექტზე მომუშავე გუნდის წევრების გამოცდილება, წარსული დამკვეთების რეკომენდაცია.

- კანდიდატს შეუძლია ინფორმაციის დაზუსტება დამკვეთთან ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა.

Sitemap

1. მთავარი გვერდი
2. მოდელები თითოეული მოდელის შიდა გვერდი
3. ჩვენ შესახებ
4. საგარანტიო პირობები
5. ავტომობილები გარბენით
7. მეორადი მანქანების შეფასება
8. სერვისები
9. შეთავაზებები
10. კონტაქტი
11. სიახლეები
12. სატვირთოები და ავტობუსები
14. სერვისზე ჩაწერა (განაცხადის გვერდი)
15. აგენტის გამოძახება (განაცხადის გვერდი)
16. დაგეგმე ტესტ დრაივი (განაცხადის გვერდი)
17. ძიების შედეგის გვერდი